პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ დირექტორის
 # 41 31/05/2019წ ბრძანებით
ცვლილება შევიდა **#176 30.12.2024** წ. ბრძანებით
ცვლილება შევიდა **#23 12.03.2025წ.** ბრძანებით

სსიპ კოლეჯი "ოპიზარი”
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სატყეო საქმე

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 111

ტელეფონი: T- 365 2 2 11 03 ; T-599172005 ; 365 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებგვერდი: http://opizarivet.ge/

პროგრამის ხელმძღვანელი: ამირან ნოზაძე , სპარტაკ გვრიტიშვილი

2025 წ.

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე -** სატყეო საქმე; Forest Work
2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სარეგისტრაციო ნომერი** 08.2.1
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე)-** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში; Secondary Vocational Qualification in Forest Work
4. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია -** შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.
5. **კვალიფიკაციის დონე**

   5.1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - დონე 4
6. **კლასიფიკაციის აღწერა**

   6.1 ISCED კოდი: 0821 მეტყევეობა - *შეისწავლის ტყის გაშენებას, კულტივირებას, მოვლასა და მართვას. ის ასევე მოიცავს ნადირობასა და ხაფანგით დაჭერას;*

   6.2 ISCO კოდი: 6210 მეტყევეები და მონათესავე პროფესიის სპეციალისტები

   6.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 02.10.0 მეტყევეობა და სხვა სატყეო-სამეურნეო საქმიანობა
7. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაქმების შესაძლებლობები -** სატყეო საქმის სპეციალისტის პროფესია გულისხმობს ტყეში, ღია ცის ქვეშ რთულ ოროგრაფიულ და კლიმატურ პირობებში არასტანდარტული კომუნიკაციით და სამუშაო რეჟიმით მუშაობას, სატყეო სამეურნეო ღონისძიებების უსაფრთხოდ განხორციელებას. პირს შეუძლია დასაქმდეს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში.
8. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობა**

   8.1 სრული ზოგადი განათლება;
9. **სწავლის შედეგები**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ კურსდამთავრებულს შეუძლია:

9.1. მოამზადოს სატყეო სამუშაოს ჩატარებისთვის ლოკაცია;
9.2. ისარგებლოს ტყის მერქნული რესურსით;
9.3. დაამზადოს და დაახარისხოს ხე-ტყე;
9.4. დაამზადოს ტყის არამერქნული რესურსი;
9.5. უზრუნველყოს დამზადებული ხე-ტყის ტრანსპორტირება;

9.6. აწარმოოს ტყის მერქნიან სახეობათა თესლები;
9.7. გაატაროს ტყის აღდგენის ღონისძიებები;
9.8. დაიცვას ტყე ხანძრებისა და მავნებლებისაგან;
9.9. მოაწყოს საფეხმავლო ბილიკები;

10. **სწავლის შედეგების დეტალური აღწერა**

მოდული	პროფესიული უნარები	პროფესიული ცოდნა	*საკვანძო კომპეტენციები*							
			მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია	*უცხო ენაზე კომუნიკაცია*	*მათემატიკური ენა-ჩვეულები და სამეცნიერო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში*	*ციფრული კომპეტენცია*	*დამოუკიდებლად სწავლის უნარი*	*პიროვნებათშორისი და მოქალაქეობრივი კომპეტენციები*	*მეწარმეობა*	*კულტურული გამოხატვლობა*
მეტყევეობის ზოგადი დახასიათება	• განმარტავს პროფესიის არსს, პროფესიულ ვალდებულებებს და დასაქმების შესაძლებლობებს; • აღწერს პროფესიული თვით–განვითარებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობებს; • აღწერს საქართველოს ტყეებს, მისი გავრცელების არეალისა და ძირითადი მახასიათებლების მიხედვით; • განმარტავს ტყის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს; • განმარტავს გარემოს შემადგენელ ელემენტებსა და გარემოს დაცვით პრობლემებს;	• იცის პროფესიის არსი • იცის დასაქმების შესაძლებლობები • იცის შრომის ბაზრის მოთხოვნები • იცის ტყის ძირითადი დამახასიათებელი მეტყევეობითი ნიშნები • იცის საქართველოს ტყეების ზოგადი დახასიათება; • იცნობს გარემოს და მის შემადგენელ ელემენტებს; • იცნობს ეკოსისტემებს, კლიმატიც ცვლილებას და ბიომრავალფეროვნებას. • იცნობს მდგრადი განვითარების მნიშვნელობას;	ü						ü	

	• განმარტავს მდგრადი განვითარების მიზნებს	• იცნობს მდგრადი განვითარების მიზნებს.								
მეტყევეობა და ტყეთმოწყობა	• ჩამოთვლის და განმარტავს ტყის ძირითად დამახასიათებელ მეტყვეობით ნიშნებს, მათ შორის ურთიერთკავშირს; • განმარტავს ხეების სიმაღლისა და ვარჯის განვითარების მიხედვით კატეგორიებად დაყოფას (კრაფტის კლასიფიკაცია); • განმარტავს ტყისა და გარემო ფაქტორების (ტემპერატურის, სინათლის, ნიადაგი) ურთიერთდამოკიდებულებას; • ჩამოთვლის და აღწერს საქართველოს ტყეების ვერტიკალურ სარტყელიანობას; • განმარტავს ტყის გავლენას გარემო-ფაქტორებზე; • ჩამოთვლის და აღწერს ტყის მცენარეთა სახეობების კატეგორიებად დაყოფას და მათ შორის სხვაობას; • აღწერს ტყის ჭრების სახეების განსაკუთრებულ მოთხოვნებს; • აღწერს ტყეთმოწყობის მნიშვნელობას, ტყეში ჩასატარებელი საინვენტარიზაციო სამუშაოების ძირითად ღონისძიებებს;	• იცის საქართველოს კანონი „ტყის კოდექსის“ შესახებ • იცის საქართველოს ტყეების ვერტიკალური სარტყელების მნიშვნელობა • იცის ტყის დამახასიათებელი მეტყევეობითი ნიშნები • იცის ტყის სახეობების კატეგორიებად დაყოფა და მათ შორის სხვაობა (კლასიფიკაციის მიხედვით) • იცის ტყის მცენარეთა სახეობების ცვლის პროცესი • იცის ტყის გავლენა გარემო-ფაქტორების მიმართ • იცის სიმწიფის ხნოვანება სახეობების მიხედვით • იცის ტყის ჭრების სახეები • იცის ტყეთმოწყობის წესები და მნიშვნელობა • სწორად აღწერს ტყეთმოწყობის ძირითად ეტაპებს • იცის საჭირო დოკუმენტაციის შედგენა • იცის ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილი ძირითადი წესები • იცის ტყეთმოწყობის პროცესში უსაფრთხოების დაცვა; • იცის გარემოს შემადგენელი კომპონენტები.	ü							

	• იცავს უსაფრთხოების ნორმებს.									
ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები	• აღწერს წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობების ბიო-ეკოლოგიას; • აღწერს წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობების განმასხვავებელ ძირითად ნიშნებს; • ამოიცნობს მცენარის სახეობას; • ჩამოთვლის და ამოიცნობს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებს; • დადგენილი წესის მიხედვით აღწერს „წითელ ნუსხაში“ სახეობების შეტანის პირობებს.	• იცის წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობების ჩამონათვალი და მათი დახასიათება • იცის წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობების მერქნული თვისებების დახასიათება და მათი განმასხავავებელი ნიშნები • იცნობს გარემოს და მის შემადგენელ ელემენტებს; • იცნობს ეკოსისტემებს, კლიმატიც ცვლილებას და ბიომრავალფეროვნებას. • იცის წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობების დამოკიდებულება ნიადაგის, ტენის, კლიმატის, ზონალური სარტყლის მიმართ • იცნობს წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობების წიწვს, ფოთოლს, ნაყოფს, თესლს, ღეროს და მერქანს • იცის საქართველოს „წითელი ნუსხა“ • იცის „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების დაცვის/გარემოდან ამოღების დადგენილი წესები • იცის „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობების ჩამონათვალი“ • იცის „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების დახასიათება	ü							

		• იცის საქართველოს კანონი „წითელი წიგნისა“ და „წითელი ნუსხის“ შესახებ								
ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება	• განმარტავს თესლის/ნაყოფის შეგროვების, გაშრობის და შენახვის წესებს და მეთოდებს სახეობების მიხედვით; • ამყარებს კომუნიკაციას დამკვეთთან და განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების მოცულობას და ვადებს, ტექნიკურ და ადამიანურ რესურსებს; • სამუშაოს შესაბამისად ირჩევს ხელსაწყო-იარაღებს და სპეციალურ ტანსაცმელს; • თესლის/ნაყოფის სახეობების მიხედვით არჩევს თესლის/ნაყოფის შეგროვების მეთოდს და უსაფრთხოების ნორმების დაცვით აგროვებს; • თესლის/ნაყოფის სახეობის მიხედვით ირჩევს გაშრობის მეთოდს და ნაყოფის ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით იცავს ტენიანობის და ტემპერატურულ რეჟიმს; • თესლის/ნაყოფის ტიპის შესაბამისად ირჩევს თესლის ნაყოფისაგან გამორჩევის მეთოდს და ახდენს ნაყოფიდან თესლის გამორჩევას; • ასაწყობებს თესლს/ნაყოფს სახეობების მიხედვით ისეთი	• იცის თესლის/ნაყოფის შეგროვების, შენახვის და გაშრობის მეთოდები • იცის თესლის თვისებები და შენახვის ვადებო • იცის უსაფრთხოების წესები • იცის სამუშაოსთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი და მათი შედგენის წესი • იცის ეფექტური კომუნიკაციის მეთოდები • იცის სამუშაოს მოცულობის განსაზღვრა და სამუშაოს დროისა და ფუნქციების მიხედვით განაწილების პრინციპები • იცის თითოეული სამუშაოს განხორციელების ვადები და შესასრულებელი სამუშაოს დეტალური სპეციფიკა • იცის საჭირო ხელსაწყო-იარაღების ჩამონათვალი და იარაღების გამოყენების სპეციფიკა • იცის უსაფრთხოების წესებს • იცის ხელსაწყო-იარაღების უსაფრთხოდ მოხმარების წესები	ü							

	საჭირო პირობების გათვალისწინებით, როგორიცაა დასაწყობების ადგილი, შენახვის მეთოდი, შესანახი ჭურჭელი და განთავსების ადგილი.	• იცის საჭირო სპეც-ტანსაცმლის გამოყენების სპეციფიკა • იცის თესლის დამზადების შესაძლებლობების განსაზღვრა; • იცის თესლის სავარაუდო მოცულობის განსაზღვრა • იცის თესლის შესაგროვებელი ტერიტორიის შერჩევა • იცის სათესლე/სადედე ხეების არჩევის თავისებურებები • იცის მერქნიანი მცენარეების თესლის/ნაყოფის ტიპები • იცის ნაყოფიდან თესლის გამორჩევის მეთოდები სხვადასხვა სახეობისათვის • იცის დახარისხებული თესლების შენახვის მეთოდები • იცის შესანახად საჭირო ჭურჭლის სახეობები • იცის თითოეული სახეობის თესლის შენახვისთვის აუცილებელი გარემო პირობები • იცის თესლის შენახვის წესები								
ტყის სანერგე	• დამკვეთის მოთხოვნით არჩევს ტყის სანერგის გასაშენებელ ფართობს და განსაზღვრავს მის მოცულობას; • დამკვეთის მოთხოვნით, განსაზღვრავს (ადგენს) სანერგეში საჭირო ტყის ჯიშების დასათესი	• იცის მთავრობის დადგენილების „ტყის აღდგენა-გაშენების შესახებ“ არსი და მნიშვნელობა • იცის სანერგის მოცულობის გაანგარიშების წესები და მეთოდები	ü							

	სერტიფიცირებული თესლების ოდენობას; • განსაზღვრავს სანერგისათვის შერჩეული ფართობის სამეურნეო ნაწილებად დაყოფას და ნიადაგის მომზადების წესებს; • განსაზღვრავს სანერგეში ნათესარის მოვლის სამუშაოებსა და ჯერადობას; • განსაზღვრავს (ნათესრებში) სანიმუშო ფართობის შერჩევისა და ინვენტარიზაციის ჩატარების წესებს.	• იცის სამუშაოს მოცულობის განსაზღვრა და შესრულების ვადები • იცის სახეობების (ჯიშების) მიხედვით ჩათესვის ნორმატივები • იცის ნათესარის მოვლის წესები • იცის ინვენტარიზაციის ჩატარების წესები • იცის ნათესარის გახარების პროცენტის დადგენა • იცის ნათესარის კვლებიდან ამოღების, დახარისხების, დასკოლების და ტრანსპორტირების წესები • იცის სანერგის გასაშენებელი საჭირო ინვენტარი, აღჭურვილობა, სპეცტანსაცმელი და დამცავი საშუალებები • იცის უსაფრთხოების დაცვის წესები და მოსალოდნელი საფრთხეები სამუშაოს წარმოებისას.								
ტყის აღდგენა-გაშენება და სატყეო მელიორაცია	• განმარტავს ტყის აღდგენა-გაშენების წესებს; • განმარტავს ტყის კულტურებისთვის ნიადაგის მომზადების სახეებსა და მეთოდებს; • განმარტავს თესვისა და დარგვის წესებს; • აღწერს კულტურების მოვლის სახეებსა და მნიშვნელობას;	• იცის საქართველოს კანონმდებლობით ტყის აღდგენა-გაშენებასთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები • იცის ტყის აღდგენა-გაშენების წესები • იცის სამუშაოს მოცულობის განსაზღვრა და შესრულების ვადები	ü							

	• განსაზღვრავს ტყის კულტურების მოვლის ჯერადობას, მოვლით სამუშაოებს საბერველის შეკვრამდე და შეკვრის შემდეგ; • განსაზღვრავს სამუშაო მოცულობას და განხორციელების ვადებს; • განმარტავს ნიადაგის ეროზიას და მასთან ბრძოლის ღონისძიებებს; • აღწერს დაცვითი ტყის ზოლების სტრუქტურას; • განმარტავს გაშენებული ფართობის ინვენტარიზაციას, ადგენს გახარების %-ს; • განმარტავს ღონისძიებების მიხედვით უსაფრთხოების წესების დაცვასა და მოსალოდნელ საფრთხეებს; • აღწერს გარემოს დაცვით პრობლემებს.	• იცის ფართობის ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით ჩასატარებელი ღონისძიებები • იცის ნიადაგის მომზადების მეთოდები • იცის საჭიროების შემთხვევაში სასუქების შეტანის წესები • იცის გაშენებული ტყის კულტურების მოვლითი ღონისძიებები და ჩატარების ვადები • იცის სანიმუშო ფართობების რაოდენობის განსაზღვრა • იცის ინვენტარიზაციის ჩატარების წესები და ვადები • იცის დაბალი წარმადობის კულტურების შევსება • იცის ხელსაწყო იარაღების, ტექნიკურ საშუალებების, სპეც ტანსაცმელის და დამცავი საშუალებების გამოყენება • იცის უსაფრთხოების წესები ღონისძიებების მიხედვით და ატარებს სპეციალურ ინსტრუქტაჟს. • იცის ეკოსისტემების მნიშვნელობა; • იცის/იცნობს გლობალური ეკოლოგიური პრობლემები; • იცის/იცნობს კლიმატის ცვლილებების მიზეზებს; • იცის ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა								

ხე-ტყის დამზადება	• განსაზღვრავს მოსაჭრელი ხის მდგომარეობას, ირჩევს ხის ჭრის ფორმას, ასუფთავებს ხის ძირებს აღმონაცენისა და ნარჩენებისგან, აგრეთვე გამაფრთხილებელი ნიშნების დაყენების ადგილს; • განსაზღვრავს საჭირო ტექნიკას, აღჭურვილობას, მასალებს, სპეციალურ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, დამცავ საშუალებებს; • სგანსაზღვრავს ხის წაქცევის მიმართულებას; • აკეთებს მოსაჭრელ ხეზე ჩანაჭერს საჭირო სიმაღლეზე და ჭრის ხეს; • წმენდს მოჭრილ ხეს ტოტებისაგან; • მავნებლებით დაზიანების შემთხვევაში ქერქავს ძირკვს და სორტიმენტებს; • განსაზღვრავს დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვა-მორთრევის მიმართულებას, ხე-ტყის დახარისხებას და სორტიმენტების მიხედვით მოცულობას; • განსაზღვრავს ნარჩენების განთავსების ადგილს. ახდენს ხე-ტყის ტრანსპორტირებას და დასაწყობებას შესაბამისი წესების დაცვით; • 9.9 ატარებს ინსტრუქტაჟს (მეცადინეობას) ხე-ტყის	• იცის ტყით სარგებლობის საერთო წესები • იცის ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვის თანამედროვე ტექნოლოგიები და საერთაშორისო გამოცდილება • იცის ტყეკაფის გამოყოფისა და ათვისების წესები • იცის ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვისათვის საჭირო ტექნიკა, აღჭურვილობა, დამცავი საშუალებები, მასალები, სპეციალური ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სახანძრო და სამედიცინო საშუალებები და მათი პრაქტიკაში გამოყენების წესები • იცის ასათვისებელი ტყეკაფის ბუნებრივი პირობები(მდგომარეობა), უსაფრთხო ზონების განსაზღვრა და გამაფრთხილებელი ნიშნების დაყენების ადგილები • იცის მოსაჭრელ ხეზე ჩანაჭერების გაკეთებისა და ხის გადაჭრის სიმაღლე მიწის პირიდან • ხის ჭრის პროცედურის დაწყებამდე ზღუდავს ტყეკაფზე გადაადგილებას; • იცის გარემო-პირობების გავლენის ფაქტორები, განსაზღვრავს ხის ძირების	ü						ü	

	დამზადების ყველა ღონისძიებებზე უსაფრთხოების წესების დაცვისა და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.	გასასუფთავებელი ადგილის რადიუსს, ასუფთავებს და ჭრის ხეს • იცის მოჭრილი ხის, ტოტებისგან გაწმენდის და ნარჩენების განთავსების წესები • იცის მოჭრილი ხის სორტიმენტებად დაყოფის და მოცულობის განსაზღვრის წესები • იცის ხე-ტყის ტრანსპორტირება, დატვირთვა-გადმოტვირთვის, დასაწყობების წესები • იცის უსაფრთხოების დაცვის წესები და მოსალოდნელი საფრთხეები.								
ტყის დაცვა ხანძრებისგან	• ახდენს ტყის ხანძარსაშიში უბნების, ხანძარსაშიში პერიოდის და ამ პერიოდში გასატარებელ ღონისძიებების იდენტიფიცირებას; • აყალიბებს ინსტრუქტაჟს ტყის ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ; • არჩევს და იყენებს კონკრეტული ღონისძიებისათვის საჭირო ინვენტარს; • ადგენს პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ვადებს, პერიოდულობას და წესის დაცვით განახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს;	• იცის ხანძარსაწინააღმდეგო წესები • იცის კანონმდებლობით დადგენილი ტყეების ხანძრისაგან დაცვის საერთო მოთხოვნები • იცის სამოქმედო ტერიტორიაზე ხანძარსაშიში უბნების იდენტიფიცირების წესი • იცის ხანძრის წარმოშობის რისკ-ფაქტორები • იცის ხანძარსაშიში პერიოდი • იცის ხანძარსაშიშ პერიოდში გასატარებელი შესაბამისი ღონისძიებების ჩამონათვალი • იცის შესაბამისი ინსტრუქტაჟის გაცემის წესი	ü					ü		

	• დროულად ახდენს მოსახლეობის და ზემდგომ ორგანოების ინფორმირებას ხანძრის შემთხვევაში; • იყენებს ხანძრის ქრობის საშუალებებს; • ხანძრის ქრობის პროცესში იცავს უსაფრთხოების წესებს.	• იცის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ჩამონათვალი • იცის კონკრეტული ღონისძიებისთვის ინვენტარის შერჩევის წესი • იცის თითოეული იარაღის დანიშნულება • იცის ინვენტარის უსაფრთხოდ გამოყენების წესები • იცის ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების ჩამონათვალი • იცის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების საჭიროება • იცის პრევენციული ღონისძიების განხორციელების პერიოდულობა და ვადები • იცის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების წესები • იცის პასუხისმგებელი ორგანოების ჩამონათვალი • იცის ხანძრის შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდების წესი • იცის ინფორმაციის მიწოდების ეფექტური მეთოდები • იცის ინფორმირების საშუალებები • იცის გამაფრთხილებელი განცხადებების გავრცელების წესი • იცის საფრთხეების შეფასების მეთოდები								

		• იცის დამატებითი რესურსის მოძიების საშუალებები • იცის ხანძრის ქრობისას რეაგირების ეტაპები • იცის ხანძრის ქრობის ტექნიკა • იცის ხანძრის ქრობის საშუალებები • იცის ხანძრის ქრობის საშუალებების გამოყენების წესები • იცის ხანძრის შემთხვევაში უსაფრთხოების წესები • იცის გარემოს შემადგენელი კომპონენტები.								
ტყის დაცვა მავნებელ-დაავადებისგან	• აღწერს ტყის პათოლოგიური გამოკვლევის მნიშვნელობას და ტყის სანიტარულ მდგომარეობას; • ჩამოთვლის და აღწერს წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობების მავნებელ დაავადებებს; • ჩამოთვლის და აღწერს ტყის მასივებში გავრცელებულ ძირითად სოკოვან დაავადებებს და მათ სიმპტომებს; • აღწერს თესლისა და სანერგეების მავნებელ-დაავადებებს; • ახორციელებს მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს; • ახორციელებს ტყეში მავნებლების არსებობაზე	• იცის კლიმატური პირობების გავლენა მავნებელ-დაავადებების გავრცელებაზე • იცის ძირითად მავნებელ-დაავადებების მიერ დაზიანებული ხე-მცენარეების გამოვლენის სიმპტომები, წესები და მეთოდები • იცის მავნებლებით დაზიანებული ფართობების გამოვლენის და გავრცელების არეალის განსაზღვრის წესი • იცის მავნებლების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების ჩატარებისათვის საჭირო ტექნიკის, აპარატურის, დამცავი საშუალებების, შხამ-ქიმიკატების, შერჩევისა და გამოყენების წესები • იცის მავნებელ დაავადებების გავრცელების ზონაში	ü							

	მუდმივ კონტროლს და მონიტორინგს; • არსებული წესების დაცვით ავსებს სასიგნალო და შეფასების ფურცელს	სანიმუშო ფართობის გამოყოფის წესი • ახორციელებს მავნებელ დაავადებების წინააღმდეგ პრევენციულ ღონისძიებებს • იცის სასიგნალო ფურცლის დანიშნულება და შევსების წესი • იცის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ახალი, ეფექტური შესაწამლი პრეპარატებისა და მისი გამოყენების წესები • იცის უსაფრთხოების დაცვის წესები • იცნობს გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს • იცის ჰაერის, წყლის სახიფათო ნარჩენების დაბინძურების საფრთხეები								
ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობა	• აღწერს მოსაპოვებლად დაშვებულ სახეობებს; • განმარტავს რესურსების მოპოვების წესებს სახეობების მიხედვით; • სახეობების მიხედვით განსაზღვრავს არამერქნული რესურსების არეალს და ზონებს; • განსაზღვრავს სამუშაოს მოცულობას, განხორციელების ვადებს, ადამიანურ და ტექნიკურ რესურსს, ხელსაწყო იარაღებს, საშუალებებს, ტანსაცმელს,	• იცის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და ნორმატიული დოკუმენტები არამერქნული რესურსებით სარგებლობის შესახებ, • იცის მოსაპოვებლად დაშვებული არამერქნული რესურსების სახეობების ამოცნობა და მათი დახასიათება • იცის არამერქნული რესურსების შეგროვების მეთოდები, რათა არ დაზიანდეს გარემო	ü							

	უსაფრთხოების აღჭურვილობას, სახანძრო და სამედიცინო ინვენტარს; • შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით ახორციელებს რესურსის მოპოვებას და ტრანსპორტირებას.	• იცის სამუშაოს მოცულობის განსაზღვრა, დამატებითი ტექნიკისა და ადამიანის რესურსების უზრუნველყოფა • იცის არამერქნული რესურსების და მათ შორის სამკურნალო, მცენარეული ნედლეულის დამზადების დრო, ოდენობა, მეთოდები და წესები • იცის სპეც. აღჭურვილობის სახეები და მისი გამოყენების წესები • იცის არამერქნული რესურსების პირველადი გადამუშავება და შრობის სტანდარტულ მდგომარეობაში მოყვანის წესები • იცის უსაფრთხოების წესების დაცვა, სისტემურად ახორციელებს მის მონიტორინგს.								
ტყით რეკრეაციული სარგებლობა და საფეხმავლო ბილიკების განვითარება	• ეროვნული რეგლამენტის მიხედვით აღწერს საფეხმავლო ბილიკების კატეგორიებს, მათი შეფასების, მონიშვნის სპეციფიკას; • რელიეფის მიხედვით წმენდს ბილიკის კორიდორს და რელიეფისა და ნიადაგის თავისებურებების გათვალისწინებით ატარებს გათხრის სამუშაოებს;	• იცის საფეხმავლო ბილიკების სპეციფიკა • იცის საფეხმავლო ბილიკების მონიშვის წესი • იცის საფეხმავლო ბილიკის შეფასების წესი • იცის რელიეფის შეფასება • იცის ნიადაგის თავისებურებები • იცის საინფორმაციო დაფის შექმნისა და გამოყენების თავისებურებები	ü					ü		ü

	• მანიშნებელი დაფის გამოყენების წესის დაცვით ათავსებს დაფას და იყენებს საინფორმაციო ნიშნებს; • ფორმირებას უკეთებს საფრთხის შემცველ ტოტებს და აახლებს მონიშვნასა და ინფრასტრუქტურას; • აღწერს ეკოსისტემების მნიშვნელობას და სერვისებს.	• იცის საფეხმავლო ბილიკების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მეთოდები • იცის საფეხმავლო ბილიკების მოწყობისას უსაფრთხოების წესების დაცვა • იცის ეკოსისტემების მნიშვნელობა • იცის გარემოს შემადგენელი კომპონენტები.									

11. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ ითვალისწინებს 18 პროფესიულ მოდულს ჯამური 90 კრედიტის მოცულობით. სატყეო საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 90 კრედიტის დაგროვება.

მოდულების „ქართული ენა“ A2 და „ქართული ენა“ B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ 28 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“,მათ შორის, 15 კრედიტი განკუთვნილია ,,ქართული ენა A2” ,ხოლო 15 კრედიტი ქართული ენა B 1 მოდულის სწავლებისათვის, აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სულ 120 კრედიტი. კოლეჯი უფლებამოსილია ზემოაღნიშნული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ არის კოოპერაციული პროგრამა, რომლის პროფესიული მოდულების 90 კრედიტიდან 27 % , მოდულები „ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება“N3 შედეგი(45 სთ); „ხე-ტყის დამზადება“ N2 შედეგი(34 სთ),N3 შედეგი(45 სთ), N4 შედეგი(45 სთ),N5 შედეგი (45 სთ); „ტყით რეკრეაციული სარგებლობა და საფეხმავლო ბილიკების განვითარება“ N2 შედეგი(23 სთ), N3 შედეგი (23 სთ), N4 შედეგი (23 სთ). „მეტყევეობა და ტყეთმოწყობა“ N 3 შედეგი (45 სთ) N 4 შედეგი (67 სთ) , „ტყის დაცვა მავნებელ-დაავადებისაგან“ სულ (91 სთ) 486 სთ. მიიღწევა პარტნიორი კომპანიის ბაზაზე. ასევე,საწარმოო პრაქტიკისთვის გაფორმებულია ხელშეკრულება.

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
მეწარმეობა	4		შერეული
უცხოური ენა(ინგლისური ენა)	3		დისტანციური
სამოქალაქო განათლება	2		დისტანციური
მეტყევეობის ზოგადი დახასიათება	3		დისტანციური
მეტყევეობა და ტყეთმოწყობა	9		შერეული
ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები	6		შერეული
შრომის უსაფრთხოება სატყეო მეურნეობაში	4		-
ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება	6	✓	-
ტყის სანერგე	9		-
ტყის აღდგენა-გაშენება და სატყეო მელიორაცია	9		-
ხე-ტყის დამზადება	9	✓	-
ტყის დაცვა ხანძრებისაგან	4		-
ტყის დაცვა მავნებელ-დაავადებისაგან	4		-
ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობა	2		-
ტყით რეკრეაციული სარგებლობა და საფეხმავლო ბილიკების განვითარება	4	✓	-
გარემოს დაცვის საფუძვლები	1		დისტანციური
ქალის როლი და მისი გავლენა ბუნებათსარგებლობაზე	1		დისტანციური
საწარმოო პრაქტიკა	10	✓	-
სულ კრედიტები		**90**	
ეროვნული უმცირესობის ენაზე ტესტირების გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის			
ქარათული ენა A2	15		შერეული
ქართული ენა B1	15		შერეული

12. **დამატებითი ინფორმაცია**

12.1 სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კურსდამთავრებულს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები ასახულია მოდულებში.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში შეფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება
- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;

- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

13. **კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „სატყეო საქმე“ განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 90 კრედიტი და ჩააბაროს შუალედური შეფასება და საკვალილფიკაციო გამოცდა.საქართველოს მთავრობის დადგენილების №416 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

14. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სატყეო საქმე“ განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი N 1 სასწავლო გეგმა

დანართი N2 ადამიანური რესურსი

დანართი N 3 მატერიალური რესურსი

დანართი N 4 მეტყევეობის ზოგადი დახასიათება

დანართი N 5 მეტყევეობა და ტყეთმოწყობა

დანართი N 6 ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები

დანართი N 7 შრომის უსაფრთხოება სატყეო მეურნეობაში

დანართი N 8 ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება

დანართი N 9 ტყის სანერგე

დანართი N 10 ტყის აღდგენა გაშენება და სატყეო მელიორაცია

დანართი N 11 ხე-ტყის დამზადება

დანართი N 12 ტყის დაცვა ხანძრებისაგან

დანართი N 13 ტყის დაცვა მავნებელ-დაავადებისაგან

დანართი N 14 ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობა

დანართი N 15 ტყით რეკრეაციული სარგებლობა და საფეხმავლო ბილიკების განვითარება

დანართი N 16 გარემოს დაცვის საფუძვლები

დანართი N 17 ქალის როლი და მისი გავლენა ბუნებათსარგებლობაზე

დანართიN 18 საწარმოო პრაქტიკა

დანართიN 19 მეწარმეობა

დანართიN 20 სამოქალაქო განათლება

დანართიN 21 უცხოური ენა(ინგლისური ენა)

დანართიN 22 ქართული ენა A2

დანართიN 23 ქართული ენა B1

პროგრამის განხორციელებისათვის პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები:

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო **ხელშეკრულება** #6 27.12.2024

შპს „გეო-ფლაუერი“ **ხელშეკრულება** #8 25.02.2025